- ეს არის სრულიად აბსურდული მიზეზი. უბრალოდ, ამ პროდუქტის არ მიღება სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული მიდგომაა, სხვა ახსნას ვერ მოუძებნი. იმიტომაცაა რომ იფიტებიან პატიმრები და იმუნოდეფიციენციით დასრულდა ორგანიზმი ვეღარ უმკლავდება ისეთ დაავადებებს, როგორცაა ტუბერკულოზი, „ც“ ჰეპატიტი და ა.შ. ყოველდღიურად ხდება პატიმრის გარდაცვალება. რამდენიმე დღის წინ ე.წ. რეზალნიცაში 30 წლის დავით ბოლოთაშვილი გარდაიცვალა. მისმა ოჯახმა ეს ინფორმაცია არ გაახმაურა. ასეთი უამრავი ფაქტი ხდება, მაგრამ



როგორც ვითხრათ არაადექატური კვება იმუნოდეფიციენციის დაქვეითებას იწვევს, ტუბერკულოზისა და ჰეპატიტების გარდა პატიმრები სხვა სენითაც ავადდებიან.

ამჟამად ძალზე გავრცელებული ვარიცოვლე, ეს სათესლე ჯირკვლების დაავადებაა. ხშირია ოპერაციის ფაქტები. ეს რთული დაავადებაა, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცებში გავრცელებულია. არ არის გამოირიცხებული მამაკაცურ პოტენციაზეც მოქმედებს.

ალექსანდრე ბეჟაძე, ექიმი:

„ეპიდემიოლოგიური, ფსიქიატრიული და იგივე მალაღიწვევებით დაავადების მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია უარყოფითი ფსიქო-ემოციური ფაქტორი, თუნდაც საპრობოლიტის პირობებში ყოფნა. ჩაკეტილი სივრცე თავისთავად უარყოფითი ემოციური დატვირთვაა, რაც განსაკუთრებით ხანში შესულ ადამიანებში საკმაოდ გართულებებს იწვევს, თუმცა ახალგაზრდებშიც არცთუ იშვიათად ავადდებიან. ამ დროს მათ კარდევლოგისა და ნევროპათოლოგის მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება.“

მალაღიწვევით დაავადებული წნევისა და გულის პრობლემებისკენ მიდრეკილ ადამიანებს დაავადება რომ არ გაუმწვავდეთ, ნერვული სისტემა დაწესებული უნდა ჰქონდეთ, რაც შეიძლება ხშირად უნდა ჩაისუნთქონ სუფთა ჰაერი (პატიმრებს ერთი საათით სუფთა ჰაერზე გასეირნება ყოველდღიურად ეკუთვნის, თუმცა სასჯელადსრულების სისტემის ხელმძღვანელობა ამ უფლებას „რეზალნიცის“ ბინადრებსაც კი უზღუდავს და კვირობით არ გაყავთ სუფთა ჰაერზე – მ.ს.), არსებითი მნიშვნელობა აქვს.

გრადი ნერვული სისტემა. ემოციური პიროვნებას საპრობოლიტის პირობებში წლების განმავლობაში ყოფნის შემდეგ შეიძლება ისეთი ნევროზი და დეპრესია განუვითარდეს, რომ თვითმკვლელობამდეც კი მივიდეს. ფსიქიატრებმა უნდა გადაწყვიტონ ასეთ პაციენტს სტაციონალური მკურნალობა სჭირდება თუ ამბულატორიული, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს, რომ ასეთი ადამიანი საკანში გამოკეტული, ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის კონტროლის გარეშე არ უნდა იყოს.

- საპატიმროებში მასიურად არის გავრცელებული ტუბერკულოზი და „ც“ ჰეპატიტი, რის გამოც პატიმრების სიკვდილიანობა კატასტროფულად იმატა. რა იწვევს ამ დაავადებებსა და მათ ასეთ გავრცელებას?

- ტუბერკულოზის ასეთი მასიური გავრცელების მთავარი მიზეზი ისაა, რომ არ ხდება ამ დაავადებით დაინფიცირებული პატიმრების სხელებისგან იზოლაცია. მართალია მოქმედებს ტუბერკულოზის სამკურნალო სახელმწიფო პროგრამა ე.წ. დოცი, რომლის ფარგლებშიც პატიმრებს უფასოდ უტარდებათ ინტენსიური ანტიბიოტიკური მკურნალობა, მაგრამ მანაც ხშირია გართულებები სისხლდენების სახით, რასაც საბედისწერო შედეგამდე მივყავართ. ამიტომ უნდა გამოვლინდეს ტუბერკულოზის პირველადი შემთხვევები და პატიმარი მაშინვე უნდა ჩართოს დოცი-ის პროგრამაში. რაც უფრო ჩქარა მოხდება ამ დაავადების გამოვლენა, მით უფრო ეფექტური იქნება მკურნალობა.

რაც შეეხება „ც“ ჰეპატიტს, ეს მთელი მსოფლიოსთვისაა აქტუალური პრობლემა. ამ დაავადებით დაინფიცირება სისხლის მეშვეობით ხდება. პიროვნება შეიძლება ამ ვირუსით არასტერილური სტომატოლოგიური ან სხვა ქირურგიული ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევაში დაინფიცირდეს. ამ დაავადებით განსაკუთრებით ნარკოტიკის მომხმარებლები ავადდებიან, რადგან ისინი ხშირ შემთხვევაში ერთ შპრიცს იყენებენ. ყველაზე ცუდი ისაა რომ, ეს დაავადება წლების განმავლობაში ყოველგვარი კრიტიკული გამოვლინების გარეშე მიმდინარეობს, ანუ ადამიანმა არც იცის რომ დაავადებულია. შემთხვევით შეიძლება გაივოს სისხლის ანალიზის აღებისას ან როცა უკვე მძიმედ დაავადებულია. ეს ძალზე ვერავი დაავადებაა და მას მედიკოსები „ეთერ სიკვდილსაც“ ემახიან.



bi znesmenebi gadamal eT, saqarTvel oSi arCevnebi modis anu vis rogor da ramdeni Seawera xel isufI ebam bol o Tveebis ganmavl obaSi

პრეზიდენტი შარვა, თანაც ძალიან დიდ შარვზე. ვის აუშარდება, დროისა და სიტუაციის საკითხია. ასაშარებლის მეტი რა არის, ვერსად გადაყვება თუ, რა?! დადის, დადის, დადის, უვლის ქვეყანას. წიწკანით მაგდანასავით, კი იძახის, ბევრი ლაპარაკი ჩემი კი არა, სხვისიც მეფაყვება, მაგრამ იმდენს ლაპარაკობს, თუ მოუხმინე, გული წავივს. რამე ჭკვიანურს რომ ამბობდეს, კიდევ აიტანდა კაცი. პლენარზე გრანდიოზული გამოსვლის შემდეგ, ყველაზე გრანდიოზული გასვლა გორის აჭყაპებულ მაგისტრალზე ჰქონდა. ისე, მასწავლებლებთან შეხვედრასაც არა უშავდა, თქვენი დირექტორი ვინები, რომ დაპირდა. იქნება კიდევ, რა დაუშლის? ახლანდ უცხოურმა პრესამ ახალი ქართველი არქიტექტორი უწოდა, მთავარი ფანდარმის სტატუსი უკვე აქვს. ჰოდა, ცოტა ხანში, დირექტორის სახელსაც გამოჰკრავს ხელს.

ოფიციალური ინფორმაციით, ორშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა გორთან ცენტრალურ



ლურ მაგისტრალზე, 800-მეტრიანი საავტომობილო გვირაბი გახსნა, რომელიც თურქე ჩქაროსნული გზატკეცილის, სვენეთი-რუისის 15-კილომეტრიანი მონაკვეთზე მდებარეობს. პატრიციაშვილი პრეზიდენტი ისეთი მოცლილია, რომ ყოველი 800 მეტრის გახსნას სათითაოდ ესწრება. ისეთი, ისეთი მოცლილი, რომ იმავე დღეს ცენტრალური მაგისტრალის გორის მონაკვეთზე კომპანიების „ვისოლისა“ და „სოკარის“ მულტიფუნქციური კომპლექსების გახსნასაც დაესწრო. თურმე ნუ იტყვი და, ეს ხელთუქმნელი ძეგლები არც მეტი, არც ნაკლები, გერმანელმა არქიტექტორმა იურგენ მეიერმა დააპროექტა. ესეც ჩვენი პრეზიდენტის კიდევ ერთი თანამდებობა: არაქსენოფობიური მიდრეკილების კადრების განყოფილების გამგე.

არსაკიმის დაბრუნება – რატომ კარგი ამბობია

რაკი შარვა ჩამოვაგდეთ სიტყვა, ისევ პლენარზე უნდა გავისხეთ. ვარდების რევოლუციის ობიექტზე ერთი კვირით ადრე, პრეზიდენტმა ბრძანა, თუ 23 ნოემბრისთვის ქუჩას დასრულებულს არ ჩამაბარებთ, მომუშავეთაგან ხელფასს ვერავენ მიიღებთ. შეგვიძლია, ჩვენის მხრივ დაეამშვიდოთ იქ მომუშავე საზოგადოება, რომ პრეზიდენტი არ ხუმრობს და ხელფასს მართლაც ვერ მიიღებთ. სადაური წესია და აქაური. ვიდრე რომელიმე თქვენს შუფს ციხეში არ უკრავენ თავს და მერე საპროცესო გარიგებას არ გაუფორმებენ, იმედი არ გქონდეთ, რომ ხელფასს მიიღებთ. ეს საქართველოს ხელისუფლების ახალი კონცეფცია თემაზე – როგორ შევავსოთ ბიუჯეტი.

მკითხველისთვის უფრო ნათელი რომ იყოს, რაზე ვსაუბრობთ, კონკრეტულ მაგალითებს მოვიშველიებთ. ზაფხულში თბილისის მერამ თავი გამოიღო და ქალაქის ცენტრში, თაბუკაშვილის ქუჩაზე რამდენიმე ეზოში ას-

ფალტი დააგო. სამუშაო ერთმა ფირმამ შეასრულა, რომელმაც თავის დროზე აღჭურვილობა გერმანიიდან ჩამოიტანა და ბოლო დრომდე მერიის სამსახურებთან გამართულად და კვალიფიციურად თანამშრომლობდა. ზუსტად ორი თვის თავზე, ფირმის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი დააკავეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ეს ამბავი პრესაში არ გახსურებულა. ორი კვირის შემდეგ, დაკავებული გაათავისუფლეს და რამდენი მიატანინეს გირაოს სანაცვლოდ, უცნობია. დღეს კომპანია ჩვეულ რეჟიმში ავრბელებს მუშაობას. როგორც მუშები ხუმრობენ, ჩვენთვის გადასახდელი ფული მერამ ადვილად იშოვავო.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ქრთამის ალების ბრალდებით, დააკავეს ბათუმის გამწვანების სამსახურის უფროსი. სოსო თოფურაძის მტკიცებით, მან მეწარმეს ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ 25 ათასი დოლარი

გამოსძალა. დააკვირდით, რამდენი ფული უნდა მოეტეხა ამ მეწარმეს ტენდერით, რომ ის 25 ათასი აენაზლაურებინა და მოგებაც დარჩენოდა?! ამზე უცნაური ის არის, რომ ყველა ტენდერი ყველა მერამში ამ პრინციპით ტარდება და რაღა ბათუმის სამსახურის უფროსს ეცნენ? მიზეზი მარტივია – ბათუმს გამწვანებაში ამ ზაფხულს გადახრჯვა მოუვიდა და ვინმემ ხომ უნდა აანაზლაუროს დანაკლისი?! ჰოდა, მიატანინებენ ამ კაცს რაც უშოვია და გასწორდება ანგარიშები. ასე რომ, ტყუილად ჰგონია სოსო თოფურაძის, რომ 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება დაპატიმრებულს.

ასევე დააპატიმრეს იმ სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელი, რომელიც ქობულეთში მიწისქვეშა სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებდა. ბიუჯეტმა რამდენიმე თვის განმავლობაში კომპანიას ფული ვერ გადაუხადა და შესაბამისად, უხელფასოდ მუშაობდა მთელი კოლექტივი. კუთვნილი ანაზლაურება მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც ფირმის მენეჯერმა დიდძალი თანხა მიიტანა იქ, სადაც მიაქვთ და უკან აღარავინ უბრუნებთ. ფ

იმას, რაზეც ზევით ვილაპარაკეთ, სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა შარვაგის ყაჩაღობა. ახლა ამ ხელისუფლებამ რამდენიც უნდა იძახოს, ქურდული მენტალიტეტი მოვსპოთო, მარტო გაგვეცინება (რა თქმა უნდა, სიმწირის სიცილით), რადგან კი არ მოსპეს, არამედ, საკუთარ თავზე მოახდინეს ქურდული უფლებების დელევირება. რაც მთავარია, პასუხის გამცემი კაცი არ არის და ბუნებრივია, ყველაფერი ისე კარგად გამოისდით, გულს უხარია.

არსენას ახალი ვარიანტი – მილიარს ართმევის და შინ მიაქვს

ნაცხელისუფლებას ჩინიაც უნდა და ბაბაც. ფულიც უნდა და ბიზნესის თავისუფლებაც

ბაზე საუბარიც. ორივე ერთად არ გამოდის, მაგრამ ესენი მინც ყველაფერს ახერხებენ. მთავარია, არ შეგვრცხვეს, თორემ გამოსვლით ყველაფერი გამოვა.

როგორც „საერთო გაზეთისთვის“ გახდა ცნობილი, დაყარალებულ ბიზნესმენთა რიგებს კომპანია „ბელატ“ შეუერთდა. საკონდიტრო მალაზიათა ეს ქსელი თბილისში განთქმულია გემრიელი და იაფი ტორტებითა და ტკბილეულით. ტელევიზიების და ხმაურის გარეშე, მისი მეპატრონეები „იქ“ მიიყვანეს და მიატანინეს იმდენი, რამდენის მიტანაც შეეძლოთ. ანალოგიურ ჩხლართში აღმოჩნდნენ საქართველოს ცნობილი ექიმებიც. ასი ყველაზე კვალიფიციური და პოპულარული ექიმი ერთი დღით დააკავეს მოდულის შენობაში და მერე 20 ათას-20 ათასი მიატანინეს. ამით რიცხვს ახლანდ კიდევ რამდენიმე დაემატა. ამჯერად გაზრდილი მისტაბანთი, რადგან ცხოვრება ძვირდება და ინფლაცია თავისას შვრება.

ამავე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ კოლეგების ოჯახიც, რომელზეც გული ჯერ ვა-



ნო მერამიშვილმა აიყარა, შემდეგ როგორც ჩანს, ძვირფასმა პრეზიდენტმაც. როგორც „საერთო გაზეთი“ წერდა, ირაკლი კოლუას სამშენებლო ბიზნესის გარდა, თითქმის ყველა აქტივი ჩამოართვეს. მაგალითად, სასტუმრო „საქართველოს“ შენობაში მდებარე კაზინო და გასართობი ცენტრი მარტო იმითმ დაახურინეს, რომ მეზობლად მცხოვრებ მოსახლეობას აწუხებდა ღამის ხმაური. ესეც კიდევ ერთი სახუმარო თემა: ხმაური კი არა, თავზე გვივლიან და თუ გინდა, ყირაზე დადგე, შენი პროტესტის მომსმენი ამ ხელისუფლებაში არავინ იქნება.

უფროს კოლუას ახლანდ შუათანაც მიაყოლეს და ავიანიზნესში დიდი პრობლემები შეუქმნეს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 1 ნოემბრიდან „სქპი ჯორჯიას“ ნატო-ს წევრ ქვეყნებში სამხედრო გადაზიდვების განხორციელება აუკრძალა. ამის მიზეზად, საქართველო-საქართველოს ხელმძღვანელმა გიორგი კარბელაშვილმა საპაერო ხომალდების სიძველე დაასახელა. კოლუა ამტკიცებს, რომ ილ-76 ტიპის თვითმფრინავებს ევროპულ სივრცეში ფრენის უფლება 2015 წლამდე აქვს. შარშან თუ ამ კაცმა ტენდერი მოიგო, წელს ეს თვითმფრინავები რაღამ დააძველა?! პასუხი მარტივია: პოლიტიკურმა სიტუაციამ. ნატო-ს წევრ ქვეყნებში სამხედრო გადაზიდვების განხორციელების უფლება რომ ჩვეულებრივი ბიზნესმენი ვერ მიიღებდა, ჩვენს ქვეყანაში ელემენტარული ჭეშმარიტებაა. რაკი მიიღო, იმას ნიშნავს, რომ მაშინ კოლუებს მოწყალე თვალით უყურებდა ხელისუფლება. ახლა გიორგი კოლუა დიად წუწუნებს:

– ჩემი პარტნიორი, გერმანელი ინვესტორია, რომელმაც ამ პროგრამაში ფული ჩადო.

იგი მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვს, მაგრამ შეხვედრის ორგანიზება ვერ შეძლებს. ერთი კვირაა, ქვეყნის ეკონომიკურ გუნდს ვურეკავ და ვცდილობ, შეხვედრა მოვახერხო, მაგრამ ჯერ მოუცვლელია მომიზეზებს, ეხლა კი ჩემს ზარებს საერთოდ არ პასუხობენ. არადა, ადრე ამის პრობლემა არ მქონდა. მთავრობა ბიზნესს ეძლევა, მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ დაიძალბება?! – განუცხადა სააგენტო „პირველს“ კოლუამ.

როგორია? აქამდე ვილაურთან შედიგამოდოდა და ახლა ყურადღებას აღარ აქცევენ. ან ის როგორ მოგწონთ, რომ პოლიციის მაღალჩინოსან ირაკლი კოლუას საკუთარი ბიზნესები აქვს და ამას არც მალავენ? ამ ყველაფრის მიუხედავად, ხელისუფლება მინც ბარბაროსულად იქცევა და ისედაც კანტიკუნტად შემორჩენილ ინვესტორებს მათრახით მიერეკება, საიდანაც მოსულან, ისევ იქ.

ბახსნილი ბიზნეს-სივრცე ქართულად

ამას წინათ, გაზეთის „ბანკები დაფინანსები“ გამოცემულმა ბატონმა ვაჟა ბერიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: – ჩვენი ბანკები, არის არა ფინანსური ინსტიტუტები, არამედ, ქილები, ბანკები. ეს არის პრობლემის სათავე. როგორ გვინათ, რამდენი ბანკია საქართველოში? ოფიციალურად, ცხრაშეტი. რეკი მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში ერთი ბანკია. ჩვენს ქვეყანაში ერთი ჯგუფი აკონტროლებს მთლიან საფინანსო ნაკადებს და არის მათი გამგებელი. ეს არის არა ფინანსური ინსტიტუტები, არამედ, სალაროები.

ვაჟა ბერიძე რომ მართალია, სულ ახლანდ დაერწმუნდით. როგორც „საერთო გაზეთის“ სანდო წყარომ აცნობა, „პროკრედიტ ბანკმა“ გადაწვივტა, ახალი წლიდან კრედიტი გაეიფუნა და პროცენტები მკვეთრად დაეწია. ამისათვის მოსამზადებელი სამუშაოებიც დამფუძნებლებთან ერთად სატელეფონო ზარმა, ბანკის გერმანულ მეპატრონეს უთხრეს, რომ არც ეოცნება ამაზე და იმ ჩარჩოებში ემოქმედა, რასაც სხვა ბანკები აკეთებდნენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრ კანონიერ პრობლემას შეუქმნდნენ. მართალია, მეპატრონე გერმანელია და ასე ადვილად თავში ვერ უთაქუნებენ, მაგრამ ის გერმანელი კარგა ხანია საქართველოში ცხოვრობს და იცის, ესენი რისი მკადრებლებიც არიან. ამიტომ ბანკმა ახალი საკრედიტო რეჟიმის რეკლამიუბაზე უარი თქვა და სამზადისი შეაჩერა.

ანალოგიური მონოპოლიური სიტუაციებია ყველა სფეროში. მაგალითად, ახლანდ 31-ე ქარხნის საავადმყოფომ შეიძინა ძვირადღირებული აპარატურა და გადაწვივტა, რომ თავის ქალის სხვადასხვა სახის გაღებები მინიმალურ ფასად მიეწოდებინა პაციენტებისათვის. ის, რაც თოლუას ცენტრში ღირს 200 ლარი, იქ 70 ლარად გაკეთდებოდა. ამ სახლეს საავადმყოფოს დირექტორთან პარლამენტრიან ფრიდონ თოლუას ზარი მიჰყვა. დეპუტატმა კოლეგები გააფრთხილა, რომ შეეწყვიტათ ამგვარი კონკურენცია, თორემ საავადმყოფოს გადარცხვების ნაწილში დიდი პრობლემები შეექმნებოდა, რაზეც ადგილობრივები სამართლებრივად აგებდნენ პასუხს. ბუნებრივია, მომსახურების ფასმა აიწია, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც ვაგზის მოედანზე, თოლუას ცენტრში ღირს 200 ლარი, იმის საყიდლად 31-ე ქარხნის საავადმყოფოში აღარ წახვალდა თავს არ გაიწვალა. სიმწრით ნაყიდი აპარატურა დარჩა უფუნქციოდ, მის პატრონებს კი ხელში შერჩათ მსხვილი ვალები.

ბიზნესმენები გადაძალდა, საქართველოში არჩევნები მოდის და სახელმწიფო ტერიორი ერთიორად გამაფრდება.



ლია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონ ბიძინა,

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი საქართველო გავერანებად პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მორალურად და ზნეობრივად, კატასტროფა ყველა სოციალური ვექტორის მიმართულებით, ამჟამად გვემუქება საშიშროება (რასაც თქვენ ნათლად აცნობიერებთ) არაუკუქცევადი სოციალური პროცესების დაწყებისა, რაზეც, მოქალაქეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ვალდებულია ჩავთვალოთ თავი გავკადნიერებულიყავი და რიგ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მომემართა თქვენთვის ღია წერილით.

ყველაფრის გადაწყვეტა ერთ ადამიანს ხომ არ შეუძლია? რამე თუ თქვენც მოგემართეთ, რომ ჩვენი სანა ჩვეულებრივი ადამიანი ბრძანდებით და არავინაა შეცდომებისგან დაზღვეული. თქვენ ასევე ბრძანდებით, რომ: "შე ვაპირებ ძალების გაერთიანებას, შემოკრებას... და მე მგონი, რომ ამას მოვახერხებ - ერთად დავდგეთ". ყველაფერი ბრწყინვალე და მისაღებია, მაგრამ ამ რეჟიმის მიერ საგანგებოდ მოხდენილი ადმინისტრაციული რეგულაციის და მათი მხრიდან ყველა თამაშის პრინციპების უხეშად დარღვევის პირობებში იბადება საფუძვლიანი კითხვა: როგორ უნდა მოხდეს ამ სამთავრობო მანქანის დაპირისპირება და ამ მოვალეობის წრის გარღვევა? მინიმალური დანაკარგებით, როგორ უნდა განხორციელდეს საზოგადოების აქტიური და სამართლიანი ჩართვა საქართველოს გადარჩენის სოციალურ-პოლიტიკური პროცესში? როგორ, რა მექანიზმებით უნდა მოხდეს (განხორციელდეს) საქართველოს მასშტაბით ღირსეულ და პროფესიონალ სახეთა წარმოჩენა ისეთი სამართლიანი პრინციპით, რომ საზოგადოების გულისწყრომა არ დაიმსახუროს?

ამდენი პრემიუმის შემდეგ (რაზეც დიდ ბოდიშს ვიხდით) მოგახსენებთ ამ წერილის მთავარ შინაარსს: ბატონ ბიძინა! ბუნებრივია, რომ ნებისმიერ ახალ საზოგადოებრივ წამოწყებას (მითუმეტეს დიდ პოლიტი-



კაში მოსვლას) უამრავი თანმდევი და დაგროვილი პრობლემისა თუ საკითხის მოგვარება ახლავს თან, მაგრამ მთავარი სტრატეგიული ხაზის და დასახული მიზნის გადასაწყვეტად ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სანდო, ღირსეული და, ამავდროულად, საზოგადოებისთვის მისაღები ადამიანების მოძიება. იმისათვის, რომ საქართველოს ყველა რეგიონი იყოს წარმოდგენილი საორგანიზაციო და სამომავლო (სამთავრობო, საკანონმდებლო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა საჯარო ინსტიტუტების დასაკომპლექტებლად) თანამოაზრეთა გუნდში და იქ მინიმალური ოდენობით წარმოჩენდნენ უღირსნი, ავანტიურისტები და გადაბირებული პირები, ამ "ფილტრაციისთვის" არანაირი მეთოდიკა და თეორია არ არსებობს გარდა ერთისა, - არსებულ სიტუაციაში ერთადერთი სამართლიანი პრინციპით ხელმძღვანელობისა, რომელიც ასევე თვითდამცავ რეფლექსიის ფუნქციას შეიძენს როგორც პოლიტიკური ლიდერისთვის ასევე მისი საჯარო გუნდის წევრებისთვის და საბოლოო მიზნის მიღწევას დადებითად შეუწყობს ხელს.

ამ სამართლიან და გამჭვირვალე პოლიტიკოლოგიურ საკითხს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის

პრინციპზე დამყარებული იდეის განხორციელება. სახელდობრ, საქართველოს ყველა რეგიონში, მის ყველა ქალაქში, რაიონში, დაბაში, თემსა თუ სოფელში თითქმის ყველა იცნობს ერთმანეთს, კარგად არჩევენ ღირსეულებსა და უღირსებს. აი, მიეცით საქართველოს მოსახლეობას თავისუფალი არჩევანის უფლება. უპირანი იქნებოდა თქვენი მხრიდან თუ მათ თხოვნით მიმართავდით, რომ ყველა თემში, სოფელში, რაიონში, ქალაქში ადგილობრივმა მოსახლეობამ წამოაყენოს თავისი სახე (ნდობით აღჭურვილი პირი, ვინც ისინი ენდობიან და პასუხსაც მოთხოვენ. როდესაც ყველა საარჩევნო უბანი წარმოადგენს თავის რჩეულს საზოგადოების სამსახურისთვის, ერთ რაიონში უკვე შეიქმნება რაიონის (მისი თემების, სოფლებისა თუ დაბების) ლიდერთა ნაკრები, ხოლო რეგიონში კი - რეგიონალური ლიდერთა ნაკრები, რომლის რიგებიდან რეგიონის საზოგადოების წინაშე (როდესაც ყველა რეგიონში მოეწყობა რეგიონალური სახალხო საკვირის დღე) წარდგინდეს აირჩევიან უკეთესნი, როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ასევე სამთავრობო პოსტებზე წარსადგენი კანდიდატები და ამავდროულად შეიქმნება (გაჩნდება) რეგიონის

რჩეულ წარმომადგენელთა საინფორმაციო ბანკი, ხოლო საქართველოს მასშტაბით კი წარმონდობა საქართველოს რეგიონების ლიდერთა ნაკრები. საზოგადოებისადმი ასეთი მიმართვა უდიდეს შედეგს გამოიღებს. თანაც ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ დღეს მასშედიის ძირითადი ნაწილი ბლოკირებულია ხელისუფლების მიერ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაფუძნდება ნამდვილი დემოკრატიული პრინციპები ბატონ ბიძინა და გაჩნდება საზოგადოებაში უდიდესი ნდობა და იმედი მომავლისადმი. სინამდვილეში, თუ საქართველოს ისტორიას გავიხსენებთ, ქართველი ერისთვის ნამდვილი დემოკრატიული პრინციპები უცხო ხილს არასოდეს წარმოადგენდა, ვინაიდან ჩვენს ერს დიდი ხნის ისტორია გააჩნია ხევისხერის ინსტიტუტისა... აი, ამ შემთხვევაში, ჯერ კიდევ არმოსული ხელისუფლებაში, თქვენ ერთდროულად შეძლებთ რამდენიმე პრობლემის მოგვარებას: საზოგადოების მხრიდან უდიდესი მხარდაჭერის მოპოვებას, თვითმმართველობის ამ პრინციპების გამოყენებით 60 ათასი დამკვირვებლის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხსაც გააიოლებთ მინიმუმ ოცჯერ (მეტჯერ თუ არა), საზოგადოებრივი მოძრაობის (შემდგომ პარტიის) ღირსეული ადამიანებით

დაკომპლექტებას, საარჩევნო კამპანიის გაიოლებას დროსა და სივრცეში, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახალი პოლიტიკური ტალღისა და ახალი პოლიტიკური ერის დაწყებას, სამართლიანი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ამ რეჟიმის მეოხებით მოვალეობული, შეუვალი პოლიტიკური წრის გარღვევას. ამავდროულად ვერც ერთი ამომრჩეველი ვერ დაგყვედრებთ მათი ნებისა თუ არჩევანის გაუთვალისწინებლობას.

იმედია, რომ ამ მეთოდზე დაყრდნობით გამჭვირვალე გახდით საქართველოს საკადრო პოლიტიკას, საფუძველს ჩაუყარით ნამდვილ თვითმმართველობას და უცხოეთში მოღვაწე ქართველების ჩათვლით თავს მოუყრით ყველა ღირსეულ მამულიშვილს საქართველოს მომავლის გადასარჩენად.

სამოქალაქო მოძრაობა - "სამშობლოს მამიებლების" ლიდერებსა და კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამოქალაქო სექტორის საინიციატივო ჯგუფს ჩამოყალიბებული აქვს მთელი რიგი თეორიული დოქტრინა (მაგალითად, რეგიონის განვითარების სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა, სოფლის მეურნეობის დარგობრივი მიმართულებების განვითარების პროგრამა და სხვ.) ამ და სხვა საკითხებთან მიმართებაში და მზად არიან ამ რეგიონში ზემოაღნიშნული საკითხების პრაქტიკულად განხორციელებისთვის.

იმედია, რომ ეს წერილი არ დარჩება თქვენი ყურადღების მიღმა და ვკვებ, რომ მისი შინაარსი გარკვეულ სამსახურს გაუწყვეს თქვენს მიერ წამოწყებულ სამშობლივით საქმეს.

ძალზედ საინტერესო იქნება თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ვისურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობასა და წარმატებებს ქართველ ერთან ერთად საქართველოს საღარაჯოზე!

პატივისცემით, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ვახუშტი ფარცვაანი 25.11.2011წელი

ვააბა ზაქარაიშვილი: რუსეთის ინტერესები შიდა, ცხინვალში სისხლი დაიღვაროს



ბის შედეგების გაუქმება პირდაპირი მინიშნებაა, რომ რუსეთის ინტერესებში შედის ცხინვალში სისხლი დაიღვაროს.

კონფლიქტოლოგ ვააბა ზაქარაიშვილის განცხადებით, რუსეთის თანხმობის გარეშე, კოკოთის მართონტული მთავრობა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმებას ვერ გაბედავდა. როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ზაქარაიშვილმა აღნიშნა, არჩევნების შედეგების გაუქმება პირდაპირი მინიშნებაა, რომ რუსეთის ინტერესებში შედის ცხინვალში სისხლი დაიღვაროს.

აღა ჯიოევას ხელხალ არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალეს, ბევრს არაფერს არ ნიშნავს, რადგან ჯიოევა ჯამბულათ თედეგვის მიერ მართული კანდიდატი იყო და როგორც პოლიტიკური ფიგურა, არაფერს წარმოადგენდა. „25 მარტისთვის დანიშნულ არჩევნებში თედეგვი სხვა კანდიდატს წარადგენს. მნიშვნელობა არ აქვს, არჩევნებში ვინ მიიღებს მონაწილეობას, მთავარია, რომ მათ უკან თადეგვი იქნება და ხალხი მას დაუჭერს მხარს. მესამე ტური უფრო პრინციპული იქნება და ცხინვალის მოსახლეობა საკუთარ პოზიციას უფრო პრინციპულად დაფიქსირებს. ჩემი ვარაუდით, ისევ თედეგვის კანდიდატი გაიმარჯვებს. კოკოთის ხელისუფლებას გაყალბება რომ შეძლებოდა, აქამდე გააყალბებდა და ჯიოევას არ გაამარჯვებინებდა. ეს ალბთ იმიტომ, რომ ძალიან ცოტა მოსახლეობა და ზუსტი სივრცეა. ასეთი მცირე რაოდენობის ამომრჩეველში გაყალბება ძალზედ რთულია. სიტუაცია მეტად მძიმეა, რუსეთი კი ამ სიტუაცი-

ით კარგად სარგებლობს.“-აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას კონფლიქტოლოგმა.

შეგახსენებთ, რომ ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები „სამხრეთ ოსეთის“ უმაღლესმა სასამართლომ გაუქმა და გამარჯვებულ ოპოზიციონერ კანდიდატს აღა ჯიოევას ხელხალ არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა.ამან ჯიოევას მხარდამჭერების პროტესტი გამოიწვია.

ცნობისთვის: აღა ჯიოევა ჯამბულათ თედეგვის მხარდაჭერით სარგებლობდა, რადგან თავად თედეგვის ცხინვალის დე ფაქტო ცესკო-მ პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი განუცხადა, რასაც ცხინვალში არეულობა მოჰყვა. მაშინ კოკოთის მთავრობამ თედეგვის ათეულობით მხარდამჭერი დააპატიმრა.

აღსანიშნავია, რომ ჯიოევას გამარჯვების შემთხვევაში ექსპერტები ცხინვალში რეპრესიების დაწყებას და კოკოთის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა დაპატიმრებებსაც ვარაუდობდნენ.

„saerTo gazeTis- iuridiul i konsul tacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კავლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69

– გთხოვთ განვიმარტოთ, რა სახის სასჯელები შეიძლება დაელოს იურიდიული პირს?

– იურიდიული პირის სასჯელის სახეები:

- ა) ლიკვიდაცია;
 - ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
 - გ) ჯარიმა;
 - დ) ქონების ჩამორთმევა.
- ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

– ცემა, როგორც კერძო ბრალდების საქმე, როგორ ისჯება?

– 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ცემა აღარ არის კერძო ბრალდების საქმე.

– ცემა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან-და გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელ სამუშაოთი ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე ან-და თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთ წლამდე.

– მეუღლეს დაეუბა დედა. მეუღლის დედა არ იძლევა ჩემი დედათაშობის ბინას იმ მოტივით, თითქოს ამ უკანასკნელმა ბინა მას არუქა. გვეკუთვნის თუ არა ბინა ჩვენ?


– პირველ რიგში, გასარკვევია, არუქა თუ არა ნამდვილად თქვენმა დედათაშობმა ბინა თავის დას, ანუ არსებობს თუ არა დადგენილი წესით გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება. თუ ასეთი არსებობს, ბინა დედას არსებობს და თქვენ მას ვერ მიიღებთ.

თუ არ არსებობს ჩუქების ხელშეკრულება, მაშინ ითვლება, რომ ბინა ირიცხება ისევე თქვენი გარდაცვლილი დედათაშობის საკუთრებაში. თქვენი მეუღლე არის მისი შვილი, ანუ გარდაცვლილის I რიგის მემკვიდრე და ის კანონით დადგენილ 6 თვის ვადაში უპრობლემოდ მიიღებს დედის დატოვებულ ქონებას. თუ სამკვიდროს მიღების ნ-თვიანი ვადა გასულია, მიმართეთ სასამართლოს და არც იქ გექნებათ



პრობლემა ქონების მიღებასთან დაკავშირებით.

– ვცხოვრობ რაიონში. მამარქმმა დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ ცოლად შეირთო თბილისში მცხოვრები ქალი. ეს ქალი, ანუ ჩემი დედინაცვალი გარდაიცვალა. მათ სამოქალაქო ქორწინება გაფორმებული არ ჰქონდა. დედინაცვალს დარჩა ბინა. მიიღებს თუ არა მამარქმი მის ბინას?



– მამათქვენი მის ბინას ვერ მიიღებს, რადგან არ ჰქონიათ ოფიციალურად გაფორმებული სამოქალაქო ქორწინება. მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლის, როგორც მემკვიდრის უფლებას სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით.

– დედაჩემმა ბინა არუქა ჩემს ძმას. დედა გარდაიცვალა. ძმამ ამ ბინიდან თავისი ნებთ მომცა მცირე წილი, მაგრამ მისი გაყიდვის უფლებას არ მაძლევს. მაქვს თუ არა უფლება მოვიხილო დედაჩემის ქონებიდან სავალდებულო წილი? რა არის სავალდებულო წილი?

– სავალდებულო წილის განმარტება არაერთხელ დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მოქალაქეები ხშირად მოგემართავენ ამგვარი შეკითხვით.

განვიმარტავთ: სავალდებულო წილის საკითხი დღის წესრიგში დგება მაშინ, როცა არსებობს მამკვიდრების ანდრძი ქონების გარკვეულ პირზე დატოვების შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის მიხედვით, მამკვიდრების (ანუ I რიგის მემკვიდრეებს), ანდრძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

ეს ნორმა განსაზღვრული ზომით ზღუდავს ანდრძით მემკვიდრეთა

ამორჩევის თავისუფლებას. მასში ჩამოთვლილ მემკვიდრეებს აქვთ სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების უფლება, მიუხედავად იმისა, გაითვალისწინა თუ არა ისინი მონაწილეობა ანდრძით. ეს ის მემკვიდრეებია, რომლებსაც არ შეიძლება მილიანად ჩამორთვათ მემკვიდრეობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უღირს მემკვიდრედ არიან ცნობილი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თქვენ სავალდებულო წილს ვერ მიიღებთ, რადგან დედათქვენმა სიცოცხლეშივე ანუქა ბინა თქვენს ძმას. ამჟამად ეს ბინა თქვენი ძმის საკუთრებას წარმოადგენს, ანუ ივულისხმება, რომ დედათქვენს სამკვიდრო და, შესაბამისად, ანდრძი არ დაუტოვებია, რის შემდეგაც გექნებოდათ სავალდებულო წილის მიღების უფლება. რაც შეეხება იმას, რომ თქვენი ძმა მოცემული წილის გაყიდვის უფლებას არ გაძლევთ, განვიმარტავთ:

თუ თქვენ ეს ქონება მიღებული გაქვთ კანონით დადგენილი წესით და, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ირიცხება თქვენს საკუთრებაში, თქვენ სრული უფლება გაქვთ, განკარგოთ თქვენს საკუთრებაში არსებული ქონების იურიდიული ბედი (გაცვლა, გაყიდვა, გაწუქება და ა.შ.).

– ჩემი შვილი გაასამართლეს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილით. მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით – 4.000 ლარით გადასხდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. უკვე 4 წელი გავიდა. ჯარიმა არ გადავიხდის. ვართ სოციალურად დაუცველი ოჯახი. შეიძლება თუ არა ამ ჯარიმის გაუქმება?

– მე არ ვიცი, თქვენ თავის დროზე გაასაჩივრეთ თუ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი საპულაქით და საკასაციო წესით დამატებითი სასჯელის მოხსნის მოთხოვნით. ამჟამად გასაჩივრების ვადები გასულია.

დამატებითი სასჯელი ავტომატურად, თუნდაც იმიტომ, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახი ბრძანდებით, არ მოიხსნება.

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების შესახებ სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით. განცხადებას აუცილებლად დაურთეთ ცნობა იმის შესახებ, რომ ირიცხებით სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში. შესაძლებელია, თქვენი თხოვნა გათვალისწინებულ იქნას. შეგიძლიათ, მიმართოთ სასჯელის – 7 წლის – შემცირებას მოთხოვნით.

– ვინ ითვლება უღირს მემკვიდრედ?

– სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის მიხედვით, არც კანონით და არც ანდრძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწყვას მემკვიდრეობად, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანა ჩაიღნა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მონაწილეობის მიერ ანდრძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ. გაკონკრეტებ: პირი უღირს მემკვიდრედ უნდა ცნოს აუცილებლად სასამართლომ.



xal xis azriT

ჩემს მეგობარ მიმის-ტებს, ვისაც გინდათ საჯაროდ დაგენიდაცვით, ოღონდ თუ გადაგება არ იქნება, რომ თუ მიმა დარჩება ხელისუფლებაში 2013 წლის მერვე, ნელ-ნელა ისე ჩაგახუტებთ მოსკოვს, რომ ვერც კი გაიგებთ! :)) აქამდე 2-ჯერ დავდე პოლიტიკური სანაძილეთ სავალდებულო წილის მიღების უფლება. რაც შეეხება იმას, რომ თქვენი ძმა მოცემული წილის გაყიდვის უფლებას არ გაძლევთ, განვიმარტავთ:

ჩვენმა პრეზიდენტმა გავაღრსა და გახსნა გვირაბი...რამდენი ხანი იქნება ნეტავ გახსნილი? დაკეტავენ მალე და მომავალ გიორგობას კიდევ გახსნიან, გული მიგრძობს: ეგვიპტელები სააკაშვილზე ხალხის გახალისებაზე აძენენ არცერთ პრეზიდენტს არ უხრუნია...

მაგარი საინტერესოა – 10 წლის შემდეგ როგორ გაიხსენებთ პერიოდს, როცა ქვეყანას გიყვი მართავდა...

სამწუხაროა, რომ განახლებული პლენარის ვის გამზირით ვერ ხარობს გარკვეული უმაღური ხალხის ნაწილი. ვისი ოჯახის წევრიც პოლიტიკური შეხედულების გამო ციხეში ზის, ვინც პოლიტიკური გემოვნების გამო სამსახურიდან დაითხოვეს (ან ოჯახის წევრი გაუთავისუფლეს), ვისაც მიწა, ბიზნესი წაართვეს, ვისაც საგადასახლო ტერიორი დაუწესეს, ვისაც ტელეფონზე უსმენენ და უთვალთვალენ, ვისაც სდევნიან ვინ რეპრესიებს გაექცა და ახლა საბერძნეთში, თურქეთში და ამერიკაში მონურად შრომობს რომ თავი იჩინოს, ვისაც ოჯახის წევრი „შემთხვევით“ მოუკლეს, ვისაც 7 ნოემბერს, 9 აპრილს, 14 ივნისს, 26 მაისს ჯანმრთელობა და სიცოცხლე წაართვეს... ამ ხალხს რამეს შეაგნებინებ? უმადურები მაგენი...

შესაშური მონაცემები აქვს... კვირაში ორჯერ ძეგლს დგამს... ერთხელ შადრევანს... ყოველ დღე ავებს ასფალტს... აშენებს ცაოამბეჯენებს... ყოველ ფეხის ნაბიჯზე რესტორნებია... კაფეები... ბარები... მწვადის და პიცის სუნითაა გაუღენთილი მთელი ქვეყანა... რა ბოროტი უნდა იყო ადამიანი ეს ვერ დაინახო... მანდამინც მწვანე ჩაი უნდა დაგაღვინოთ არა რომ დარჩეთ კმაყოფილები... ვერ ეღირსებთიით...

მე კი, ერთ „მიმის-ტურ“ მუხუშუს გავაკეთებდი და მოელ კვერცხებს, ქანდაკებებს და შუშებს იქ დადგამდი. ერთი კარგი გამოფენა შეიძლება გაკეთდეს, რა ხდებოდა საქართველოში მიმას დროს. მომავალმა თაობებმა უნდა ნახონ, თუ რა გავიარეთ და რა აბსურდი გვჭირდა ამ პერიოდში. ჩვენ კიდევ კარგად ვერ ადვიტებთ სიტუაციის კომპიურობას და აბსურდულობას, რაც სააკაშვილის მმართველობამ მოიტანა. ეს, წლების მერე, საშინელ კომმარად მოგვეჩვენება, ამაღლოულად, სასაცილოდ, საოცრად უგემოვნოდ, პროვინციალური სულისკვეთების მქონედ და, მეორეს მხრივ, საშიშად იმიტომ, რომ ეს ყველაფერი სერიოზულად კეთდებოდა და ამის უკან იდგა რეპრესიული აპარატი. ჭინჭყლი ბავშვის ფსიქიკის ნაყოფია თითქოს ეს ყველაფერი.

ბოროტი ხმები გაზაფხულზე ვადამდელ საპარლამენტო & საპრეზიდენტო არჩევნებზე დალაღებენ

გასოცარია პირდაპირ, ეს უცხოელი დიპლომატები კანონის უზენაესობას მაღალფიქით და ამავე დროს სასამართლო არ გივარგათო. სასამართლოს გარეშე განა შესაძლებელია კანონის უზენოების მიღწევა? ან, თუ დანაშაული აღარ ხდება საქართველოში და კრიმინალი აღმოფხვრა ნაცმოდრობამ, ამ ხალხს რატომღა იჭერენ, აძენენ პატიმარი საიდან?

მე მგონი ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, რომლის ხელი-სუფლებასაც საკუთარი წარმატების არგუმენტად ძირითადად უცხოელთა ციტატები მოჰყავს.



შემოგვიერთდი facebook-ზე „საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ქალბატონ მთვარისა კავლიშვილს და უსურვებს ყოველივე საუკეთესოს თავის ოჯახთან ერთად.

5 წლის ბიჭს რა გადუნებდა

ჯორჯ აშმანი შუბლზე წითელი ლაქით დაიბადა. ახალშობილის დედა ძალიან წუხდა, რომ მთელი ცხოვრება ბიჭი დაინაგრობდა ამ თანდაყოლილი დეფექტის გამო და თამამი ნაბიჯი გადადგა – გადაწყვიტა ქირურგიული ჩარევა.

ექიმებმა განაცხადეს, რომ ოპერაციისთვის უნდა შემზადებულიყვნენ დედაც და შვილიც, რადგან შუბლზე კანის ქვეშ იმპლანტანტი უნდა ჩაესვათ, რის შემდეგაც ოპერაცია შედეგიანი იქნებოდა.



– როცა მე ჩემი პატარა ჯორჯი დავინახე, მეტყველების უნარი წამერთვა, შუბლზე რქები ჰქონდა იმაზე დიდი, ვიდრე წარმოვიდგენდი, – ჰყვება 33 წლის კარენი.

იმპლანტანტები მის პაწაწინა შუბლზე უზარმაზარი ჩანდა. ჩემი შვილი ნამდვილ სატანას ჰგავდა.

4 თვის შემდეგ ჯორჯს წარმატებული ოპერაცია გაუკეთეს და მოაცილეს, როგორც რქები, ასევე ლაქაც.

მსოფლიოს ყველაზე მსუქანი ადამიანი

იგი მექსიკაში ცხოვრობს და მანუელ ურიბე ჰქვია. მანუელი მსოფლიოში ყველზე მძიმეწონიან ადამიანად ითვლება. სწორედ ამის გამო მოხვდა მანუელ ურიბე გინესის რეკორდების წიგნში. ამ რეკორდის შემდეგ ურიბემ გადაწყვიტა კიდევ ერთი რეკორდი დაემყარებინა.



ბინა. იგი გახდა გინესის რეკორდსმენი იმ ჭარბწონიან ადამიანებს შორის, რომლებმაც ერთდროულად დიდი წონა მოიშორა. ურიბემ მოახერხა და ერთბაშად 200 კილო დაიკლო.

ბუბანჯამონის აპკანსიური ნარეკობა საოლოოდ აღიარეს

ციურიხელმა მეცნიერებმა სენსაციური განცხადება გააკეთეს. ისინი დიდხანს იკვლევდნენ ფარაონი ტუტანჰამონის მუმის დნმ-ს.

ავიღეთ ახალგაზრდა ფარაონის უჯრედების სკრუპულოზური ანალიზი, ის არ დაგვიზიანებია, – განაცხადა არაბეთის რესპუბლიკის გენერალურმა მდივანმა ზახი ხავასმა. ამ ანალიზებით ბევრ საიღუმლოს აეხადა ფარდა.

მის ორგანიზმში 60-70 პროცენტი დიდი ბრიტანელების, ესპანელებისა და ფრანგების აღმოჩნდა.

კვლევითი ცენტრის დირექტორი რომან შოლცი კი

აცხადებს, რომ ტუტანჰამონი, როგორც აქამდე ვგონათ, არ არის წმინდა ეგვიპტელი.

შოლცის მტკიცებით, ეგვიპტის მეფეთა საერთო წინაპრები კავკასიაში ცხოვრობდნენ, დაახლოებით 9500 წლის წინათ, 7000 წლის წინათ ისინი ევროპაში გადმოსახლდნენ. ამთგან ნაწილმა ეგვიპტეს მიაღწია. საუბარია ტუტანჰამონის ბაბუის ბაბუის ბაბუაზე. შეიძლება ისინი ქართველები იყვნენ ან დაღესტნელები, შეიძლება ჩენებიც, არ გამოვიცხავ ამას, – აცხადებს შოლცი.

მაგრამ რატომ აქვთ ფარაონებს კავკასიური წარმომავლობის გარეგნობაც და დასავლეთ-ევროპულიც? ამაზე პასუხები ჯერ არ არსებობს.

საკითხი კი დღეს ასე დგას. რითი გარდაიცვალა ახალგაზრდა ფარაონი? მას დაავადებათა წყება სტანჯავდა. ყმაწვილს ადვილად მსხვერველი ძვლები ჰქონდა, იყო ბრტყელტერფიანი, კოჭლობდა მარცხენა ფეხით და დადიოდა ჯოხით. მის სამარხში 300 ცალი ყავარჯენი აღმოაჩინეს.

ფარაონის გარეგნობაზე დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ ყმაწვილი ტუტანჰამონი მომხიბვლელი ახალგაზრდა ყოფილა. ის თუმცა მზეჭაბუკი არ იყო, მაგრამ მახინჯიც არ ერქვა, როგორც აქამდე მედიკოსები ირწმუნებოდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ მძიმე დაავადებამ ტუტანჰამონი ქალს დაამსგავსა, თუბოები გაუფართოვდა და სარძევე ჯირკვლები დაებერაო. ფარაონი წარმოადგინეს, როგორც ობობასავით გრძელხელებიანი არსება. ამ განცხადების შემდეგ ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება, ტუტანჰამონი უცხოპლანეტელთა ექსპერიმენტის მსხვერპლი შეიქმნაო.

ეგვიპტელმა მეცნიერებმა 16 მუმის დნმ-ი შეისწავლეს, რომლებიც ახალგაზრდა ფარაონის ნათესავებად ითვლებოდნენ. გამოიკვლიეს ბებია-ტიუუ, ფარაონი ეხნატონის დედა. თვითონ ეხნატონი ტუტანჰამონის მამად აღიარეს, დედა ჯერ არ არის ცნობილი. ეხნატონის და შესაძლოა, თავად ნეფერტიტი ყოფილიყო, რომელიც მამის პირველი ცოლი იყო.

კვლევის პროცესში ორი ახალშობილის მუმაც იპოვეს, რომელიც ასევე ტუტანჰამონის სამარხში აღმოაჩინეს 1922 წელს, პოვარდ კარტერისა და ლორდ კარვარონის კვლევების დროს. ისინი დღეს ინახება კაიროს უნივერსიტეტში და ჯერ არც ერთ ჩვენებაზე არ უჩვენებიათ.

ორივე მუმია ემბრიონია, ჯერ დაუბადებელი გოგონები. ერთის ზომა 30 სანტიმეტრია, მეორესი – 38,5. თუ ზომების შედევებით ვიმსჯელებთ, ერთი – 5 თვის უნდა ყოფილიყო, მეორე – შვიდის.


ემბრიონების სისხლის ჯგუფის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორივეს სისხლის ჯგუფი ფარაონისას დაემთხვა.

მეცნიერები თითქმის 100 პროცენტით არიან დარწმუნებულნი, რომ ტუტანჰამონი ერთ-ერთ გოგონას მამა იყო, შესაძლოა, ორივესი. ვარაუდობენ, რომ გოგონები ტყუპები იყვნენ. პატარების დედად ითვლება ფარაონის მეუღლე. 13 წლის ანხესუნამუნი – ნეფერტიტისა და ეხნატონის გოგონა 12 წლის ფარაონზე დაქორწინდა.

დღეს ვარაუდობენ, რომ ტუტანჰამონის მამა უცხოპლანეტელი იყო.

მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შვეიცარიელი მეცნიერები ფარაონების დნმ კავკასიურ წარმომავლობას მაინც პირველ პლანზე აყენებენ. საქართველო ამ ჰიპოთეზაში პირველ ადგილზეა, რადგან სწორედ ქართველები ითვლებიან პირველი ევროპული ცივილიზაციის აკნის დამრწველებად.

პირველი ადამიანების ნაშთები დმანისის მახლობლად მთებში იქნა აღმოჩენილი 1999-2001 წლებში. ძვლები, რომლებიც იპოვეს 1,8 მილიონი წლის წინანდელი ადამიანისაა. იმ აღმოჩენის დროს 6 თვის ქალა და ჩონჩხი იპოვეს. ადამიანის-მაგვარი არსებები მეტრონა-



დაბადების დღეს ვულოცავთ „საერთო გაზეთის“ ყველაზე ახალგაზრდა ჟურნალისტს **ლელა არაბულს** და ვუსურვებთ დიდ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში. „საერთო გაზეთის“ რედაქცია

ხვერის სიმაღლისაა, იწონინდენ, სავარაუდოდ, 50 კგ-ს თავის ტვინი 600 კუბური სანტიმეტრი, ანუ ნორმალურზე ორჯერ პატარა ჰქონდათ. თუმცა შეეძლოთ შრომის იარაღების დამზადება, ნადირობდნენ, დამუშავების გარეშე არ მიერთმევენდნენ ხორცს, არჩევდნენ საკვებად ვარგის მცენარეებს.

მეცნიერები დღეს არ გამოიციხავენ, რომ ევროპული ცივილიზაცია საქართველოდან წამოვიდა. ადამიანის მსგავსი არსებები საქართველოდან ტალისებურად მიიწვედნენ შორს და აფრიკამდე მიაღწიეს.

ბარაქანების თავში ანტიბიოტიკები აღმოაჩინეს

ნოტინგჰემის უნივერსიტეტის მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ზოგიერთი მწერის ორგანიზმში და მათ შორის ტარაკანებშიც აღმოჩნდა ანტიბიოტიკების დიდძალი რაოდენობა. მეცნიერთა ვარაუდით, ყოველივე ეს შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სტაფილოკოკებისა და ნაწლავური ჩხირების (ე-კოლი) საწინააღმდეგო საშუალება.



ტარაკანების ტვინში აღმოჩენილ ანტიბიოტიკებს შეუძლია დაამარცხოს სტაფილოკოკისა და ე-კოლის ჩხირის 90 პოპულაცია.

ცნობილია, რომ სწორედ სტაფილოკოკი არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინფექცია, რომელიც ყველაზე ხშირად სუსტი იმუნიტეტის მქონე ადამიანებს ემართება. ეს მიკრობები იწვევენ პნევმონიას, ასცესს და თვით სეფსისსაც.

ნამდვილი ჰამპირი დაიჭირეს

ჰალვესტონის, ტეხასის შტატის პოლიციამ ახალგაზრდა ყმაწვილი დაიჭირა, რომელიც უცნობ ქალბატონს პირდაპირ ველში ეტაკა და დაკბინა.



19 წლის ლაილ მონრო ბენსიმ აღიარა, რომ ის ვამპირია.

ადრე დილით ენსი უცნობი ქალბატონის სამზარეულოში შეიპარა და დაიძალა. ქალბატონს თავის საძინებელში მშვიდად ეძინა. ბენსი მიეპარა ქალს და უკბინა ყელში. შემდეგ გამოათრია სახლიდან და ახლომდებარე ბაღისკენ დაუპირა წყევანა. ქალი ბენსის ხელიდან მეზობელმა იხსნა, რომელიც უთენია სამსახურში მიდიოდა და მანქანის ძრავის ასაშუშავებლად რამდენიმე წუთს მანქანაში დაჰყო.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ

სათავმო ოფისი

ჭავჭავაძის გამზ. №39ა
0162, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
(+995 95) 92 55 92
ფაქსი: (+995 32) 291 22 79
ელ.ფოსტა: info@cartubank.ge

ვაკის სერვისცენტრი

ი. აბაშიძის ქ. №24
0179, თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 06 14/15
ფაქსი: (+995 32) 225 06 15
ელ.ფოსტა: vake@cartubank.ge

საბურთალოს სერვისცენტრი

პეკინის ქ. №14ბ
0171, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 292 55 93
ელ.ფოსტა: saburtalo@cartubank.ge



ბანკი ქართუ CARTU BANK

მთაწმინდის ფილიალი

ვეკუას ქ. №1, 0105, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
ფაქსი: (+995 32) 292 19 38
ელ.ფოსტა: mtatsminda@cartubank.ge

ინის სერვისცენტრი

ქეთევან დედოფლის ქ. №50
0198, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 224 11 34
ელ.ფოსტა: lilo@cartubank.ge

ქუთაისის ფილიალი

ფალიაშვილის ქ. №4
4600, ქუთაისი
ტელ.: (+995 431) 25 65 65
ფაქსი: (+995 431) 25 65 60
ელ.ფოსტა: kutaisi@cartubank.ge

ბათუმის ფილიალი


გრიბოედოვის ქ. №2
6000, ბათუმი
ტელ.: (+995 422) 27 59 00
ფაქსი: (+995 422) 27 65 04
ელ.ფოსტა: batumi@cartubank.ge

გორის სერვისცენტრი

სტალინის გამზ. №10/14
1400, გორი
ტელ.: (995 470) 27 76 71
ფაქსი: (995 470) 27 76 71
ელ.ფოსტა: gori@cartubank.ge

თელავის სერვისცენტრი

ჭავჭავაძის მოედანი
0022, თელავი
ტელ.: (995 450) 27 09 00
ფაქსი: (995 450) 27 09 01
ელ.ფოსტა: telavi@cartubank.ge



საკონია უნიკალ „სისინი“ კი-10 ნოქიანი

„ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა“ – ამ რუბრიკით გარეკანის მე-2 გვერდზე მოთავსებულია არჩილის ლექსი „ასე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ განა მცირეთა“...

რუბრიკით „უჯრამი ჩაკეტილი ლექსები“ იბეჭდება რაფდენ გვეტაძის ლექსი „მარო მაცაშვილს“.

„პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი“ – ამ რუბრიკაში წაიკითხავთ თემურ ჩალაბაშვილისა და მარიამ წიკლაურის ლექსებს „ახალი ლექსების“ რუბრიკით გამოქვეყნებულია ელგუჯა მარდიას და გენრი დოლიძის ლექსები.

„გახსოვდეს აფხაზეთი“ – ამ რუბრიკაში იბეჭდება ირმა მებურიშვილის ლექსები.

რუბრიკაში „ინტერვიუ“ გაეცნობით საუბარს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი ღვალაძესთან – „ავტორებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი უფლებები“.

„ლიტერატურული მესხეთის“ რუბრიკაში წაიკითხავთ ავთან-

დილ ბერიძის, ვახტანგ ინაურის, მერაბ ბერიძის, ალიოზ ოკოშვილის, ბექა ოთანაძის, კობა მოდებაძის, შალვა კელაშვილის, თამარ ლომიძის, მარიტა ჯიქიას ლექსებს და წერილებს, აგრეთვე ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტების მაია ბლიაძის, ნინო ჯიქურაშვილის, ნინო გვირგვინის და ნინო კაჭკაჭიშვილის ლექსებს.

„თეატრი“, „კრიტიკა“ – ამ რუბრიკით წარმოდგენილია გოგი დოლიძის წერილს „გლახა ჭრიაშვილის არღანი ანუ...“ „პროზა“ – ამ რუბრიკაში მოთავსებულია მიხეილ ანთაძის მოთხრობა „უჯრამი ჩაკეტილი რომანი“ – ამ რუბრიკით გრძელდება ავთანდილ კვასცხაძის რომანი „სიკვიდი-სიცოცხლის როკვა“.

„მემუარების“ რუბრიკაში გრძელდება ჩეკას პირველი თავმჯდომარის კოტე ცინცაძის მოგონებები.

„ასი სამარცხვინო ლექსის“ რუბრიკით წაიკითხავთ გიორგი მაისურაძის ლექსს „დამკვრელის სიტყვა“, რომელიც ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ გამოქვეყნდა 1931 წელს.